კვირა 5 ივლისი 1915 წ.

# სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 121 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 121

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის თრსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

ხონის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა მწუხარებით აუწყებს საზოგადოების წევრთ გარდაცვალებას გამგეობის წევრისას

**მიხეილ ივანეს-მის ქუთათელაძისას.**

და სთხოვს მათ მობრძანდენ კვირას 5 ივლისს დილის 10 საათზე მის საკუთარ სახლში და დაესწრონ ცხედრის გამოსვენებას მაცხოვრის ეკლესიაზე.

---

**განცხადება.** ღამით, 2 ივლისს ქუთაისიდან აჯამეთს შუა დავკარგე თბილისის მატარებელზე, პორთფელი, რომელშიაც იყო: ორი ვექსილი ას-ას თუმნიანი, ჩემი პირადობის მოწმობა, ათი თუმნის კვიტანცია თბილისის ხაზინისა და სხვა წერილები. მპოვნელს ვსთხოვ უმორჩილესად აღნიშნული პორთფელი დოკუმენტებით მოიტანოს, ან გამოგვიგზავნოს გაზ. „სამშობლოს“ რედაქციაში ქ. ქუთაისში.

10—1 სიმონ სიკოს ძე კიკნაძე.

---

სობოროსთან, რიქანაშვილის სახლში მოთავსებული სავაჭრო სახლი

**ერქომაიშვილისა და ამხ.**

რომელიც ომიანობის გამო დროებით გადმოვიდა სოხუმიდან,

**ამ მოკლე ხანში ისევ აპირობს გადასვლას.**

ამის გამო ყოველგვარი საქონელი მყიდველ საზოგადოებას დაეთმობა

**ძლიერ ხელმისაწვდომ ფასებში.**

პატივისცემით ფ. დ. ერქომაიშვილი.

---

გამოვიდა ახალი წიგნი.

**პედაგოგიური კითხვების გარშემო.**

(პასუხათ ჩვენ კრიტიკოსებს)

ვ. ჯაფარიძე და ი. ზედგინიძე. 5—4

---

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო

**—აბანო.—**

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჭალაზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საუმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია გოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება საღამოობით. თ.

---

გაბრიელ იოსების ძე

**ექიმი გოკიელის**

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. თ.

---

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის. გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

---

**ექიმი** რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი. თ.

---

კბილის ექიმები

**მენაღარიშვილი და ტრუფანოვა**

ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და საღამოს 5—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

---

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

---

**კერძო ექიმი** მიხეილ კაშია

კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას. ღებულობს დილის 7 საათ. მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ.

---

სამუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისათვის, უმაღლეს დასწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **ვამზადებ მოწაფეებს,** ეგზამენის დაჭერა უზრუნველ ყოფილია.

**მისამართი:** ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.

---

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი

საზაფხულო შენობაში.

ორშაბათიდან, 6 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება სურათი

**ებრაელების ცხოვრება ამერიკაში.**

აქვს ნაწ. 3000 მეტრი, 135 სხვადასხვა სურათი.

ძლიერი ტრაგიკული მომენტები, ნათამაშებია ამერიკის საუკეთესო არტისტებისაგან. სურათი იძლევა ამერიკელ ებრაელების საუკეთესო დახასიათებას. ეკრანზე გამოდის ასი ათასი მონაწილე.

---

## ომის დღიური.

ერთხელ ის აზრი იყო გამოთქმული ჩვენს გაზეთში, რომ ხშირათ გერმანელები ისეთ ადგილზე გააძლიერებენ მოქმედებას, სადაც ამას ნაკლებათ მოელიან და ისეთ ადგილზე შეაჩერებენ მოქმედებას, სადაც ყველა დარწმუნებულია, რომ გადამწყვეტი ბრძოლა სწარმოებს. ყველა ეს ხდება მტრის ძალების დანაწილება-დაფანტვის გულისთვის, ერთი ადგილიდან მეორე ადგილში ძალების გადაყვან-სთვის და ამით მტრის შესუსტებისთვის. მათ სურთ თავისი მოქმედებით მტრის ყურადღება ერთ რომელიმე ადგილს მიაპყრან, რომელსაც მტრისთვის რაიმე მორალური ღირებულება და მნიშვნელობა აქვს და ამავე დროს ისინი სარგებლობენ მტრის შესუსტებით სხვა სტრატეგიულ ადგილზე, რომ იქ უფრო ადვილათ და მოხერხებულათ შეუტიონ.

დღემდის შედარებითი სიწყნარე იყო ჩრდილოეთის რაიონში, სადაც გერმანელებმა თავისი მოქმედება შეასუსტეს და სამაგიეროთ შეტევა გააძლიერეს, გააფართოეს სამხრეთით. დღევანდელი დეპეშით ვტყობილობთ, რომ ჩრდილო რაიონში გერმანელებს ისევ დაუწყიათ მოქმედება და ვითომ შეუჩერებიათ შეტევა სამხრეთის რაიონში. ჩრდილო რაიონში გერმანელებს სურთ ალბათ მიტავის წინაალმდეგ მოქმედება დაიწყონ.—

ლომჟის მიმართულებით ისევ დიდი ბრძოლები სწარმოებს. გერმანელებს ხელში ჩაუგდიათ რუსების რამდენიმე სანგარი პისასა და შკვის ნაპირზე.

იერიშები გააძლიერეს ავსტრო-გერმანელებმა აგრეთვე უკიდურეს სამხრეთით მდ. დნესტრის მიმართულებით. აქ ისინი დნესტრის მარცხენა ნაპირზე გადმოსულან.

ამნაირათ, მტერი ორი უკიდურესი—ჩრდილოეთის და სამხრეთის—წვერით მოქმედებს. რა აზრი აქვს ამ მოქმედებას—დემონსტრანციაა იგი, რომ ამითი დაფაროს თავისი მოქმედება ლუბლინ-ხოლმის ხაზზე, თუ ფართო ხასიათის შეტევა ეს ამ მოკლე ხანში გამოირკვევა.

---

## ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან).

### კავკასიის ასპარეზი.

**თბილისი.** 2 ივლ. 30 ივნისს ზღვის პირის მიდამოებში რუსების მზვერავებს ყარა-გელის მთასთან შეტაკება მოუხდათ ოსმალებთან კოპკარმუნჯის ფრონტზე ბრძოლაა ოსმალთა დიდ ძალებთან. რუსის ჯარმა ბევანის რაიონში 2 დღის ბრძოლის შემდეგ დაიკავა ოსმალთა ძლიერი პოზიციები სოფელ სორპიან, როცა მოსაზღვრე ჯარმა ხელში ჩაიგდო ოსმალთა 4 ზარბაზანი. ბაჟირგაის მიდამოში სროლაა ქურთებთან. სხვა ალაგას ცვლილება არ მოხდარა.

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 2 ივნისი. უმაღლეს მთავარ-სარდლის შტაბისაგან. ოფიციალური. რიგა-შავლის რაიონის ჩრდილოეთის ნაწილში მოწინააღმდეგემ გააძლიერა თავისი ჯარი და 1 ივლისს შემოტევა დაიწყო გაზენპოტიდან მოლდინგენის მიმართულებით, აგრეთვე მდებარე რაიონშიც. რუსების ცხენოსნები და მოწინავე რაზმები თავს უკავებენ მტერს ვინდავისა და ვენტის ფონებზე; აგრეთვე სხვა ხელსაყრელ პოზიციებზე ნემანის იქით მდებარე რაიონში მტერმა 1 ივლისს ღამით საარტილერიო და თოფის სროლა დაიწყო ფართო პირზე, მაგრამ იერიშები მხოლოდ მცირერიცხოვან ქვეითა რაზმებით მიჰქონდა; ეს იერიშები ყველგან მოგერიებულ იქმნა. იმავ ღამით რუსებმა მოიგერიეს გერმანელების კერძო ხასიათის იერიში ლომჟას მიმართულებით. მდ. პისას მარჯვენა ნაპირას და მდ. შკვას ორთავე ნაპირას მდგომარეობა შესამჩნევად არ შეცვლილა. გერმანელებმა წინა დღით რუსების რამდენიმე სანგარი ჩაიგდეს ხელში, მაგრამ დიდი ზარალისა გამო 1 ივნისს იერიშები აღარ განუახლებიათ. მდ. ორჟიცასა და სკრას შუა რუსების ჯარი იმყოფება პრასნიშიდან სამხრეთით მდებარე პირზე, სადაც 1 ივნისის სროლის წყალობით გერმანელების რამდენიმე იერიში მოიგერიეს. ბუკზე და ზოლოტაიალიპაზე შესამჩნევი ბრძოლები არ მომხდარა. 30 ივნისს საღამოს ავსტრიელების ჯარმა შემოტევა დაიწყო ნეზვისკა-ოკნას პირით. მტერს იერიშები მოაქვს მარჯვენა ნაპირზე მდებარე სიხიდო სიმაგრეებზე კუნიშონცე-კოლანკის რაიონში. ავსტრიელები დნესტრზე გადადიან ივანიეოეუვსა და კოსცელნიკი-სინკოვის რაიონებში. 1 ივლისს რუსების არტილერია ზოგიერთ ნაწილებში საუცხოვოდ ესროდა მტერს მდინარეებზე გადასვლის დროს და ალაგ-ალაგ შეაწყვეტინა კიდეც მოქმედება. ბრძოლა გრძელდება.

**პეტროგრადი.** 2 ივლისი. მარიამპოლსა და კალვარიის შუა დატყვევებულთა შორის ავსტრიელებიც აღმოჩნდნენ. იმათი სიტყვით, ავსტრიელთა ორი ქვეითა პოლკი, რომელიც შედგენილი იყო გალიციის რუს-მცხოვრებთაგან, გადაუყვანიათ აღმოსავლეთ პრუსიაში.

ვილნოსა და გროდნოს შუა, ოლიკენიკის მიდამოებში რუსებმა 1 ივლისს დაიჭირეს მტრის „ალბატროსი“, მფრინავი და მზვერავი დატყვევებულია. მტერი უშედეგოთ ესროდა ჰაეროპლანიდან ყუმბარებს ოსტროლენკას.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 2 ივლისი. დღის ოფიციალური ცნობა 1 ივლისისა. ბელგიაში ყუმბარების სროლის შემდეგ, რომლის შესახებაც გუშინ იყო გამოქვეყნებული, გერმანელებმა იერიში მიიტანეს სანგრებზე, რომელნიც ინგლისელების მიერ იყო დაპყრობილი 23 ივნისს პიწკენის სამხრეთით, არხის აღმოსავლეთის მხარეს, მაგრამ ადვილად იქმნენ მოგერებულნი. არრასის ჩრდილოეთით ღამით მხოლოდ სანგრებიდან ესროდნენ ერთმანეთს. შატოკარლეილის და ლაბირინტის ჩრდილოეთით, არრასა და სუასანს დიდი ყალიბრის ზარბაზნები დაუშინეს. სემაფრიზისა და ფეს რაიონში, ოტნერონის დასავლეთით, აგრეთვე შამპანში პერტთან სანაღმო ბრძოლაა. არგონებში გერმანელებმა იერიში მიიტანეს მარი-ტერეზსა და ოტშევოშეს შუა, მაგრამ ყველგან მოგერებულ იქმნენ. მაასსა და მოზელს შუა აპრემონის ტყეში თოფისა და ზარბაზნების სროლაა. აქ ქვეითა ჯარი არ მოქმედობს. სხვაგან ცვლილება არაა.

საღამოს ოფიციალური ცნობა. გერმანელები ესროდნენ ფურნსა და მიდლკერკს. სამაგიეროდ ფრანგები გერმანელების მიერ დაჭერილ მიდლკერკს ესროდნენ. არრასის ჩრდილოეთით გერმანელებმა ორჯერ მოინდომეს სუშესთან თხრილებიდან გამოსვლა, მაგრამ ვერას გახდნენ. ამ რაიონში გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხარებული ზარბაზნების სროლა იყო. არრასში განსაკუთრებით დაზარალდა, ქალაქის ნაწილი ტაძართან: აქ სამი მოქალაქე იყო მოკლული. მდინარე ენის ველზე გამწვავებული საარტილერიო ბრძოლაა. არგონებში ფრანგებმა იერიშები მიიტანეს ბინარკალ-ვიენალეშატის გზისა და მარიამ ტერეზიას შუა მდებარე რაიონზე. ზოგი ერთ ადგილებში ფრანგები გერმანელების სანგრებში გამაგრდნენ. არგონის ტყის დასავლეთის პირას იერიშების დროს ფრანგები გადავიდნენ სევრონის გზაზე და დაიპყრეს ბორენად წოდებული ტყე. ოტშევოშესა და მარი-ტერეზიას შუა მდებარე ტერიტორია, რომელიც გუშინ დაიპყრეს გერმანელებმა არ აღემატება 400 ადლს. ვოგეზებში საშინლად უშვენ ლაფონტენელს. ფრანგების ავიატორებმა გუშინ დიდი ზარალი მიაყენეს ლიბეკურის რკინის გზის სადგურს, აგრეთვე არეულობა გამოიწვიეს დუესა და ლილს შუა. საფრენი მანქანების ესკადრამ შენობებზე და რკინის გზის ლიანდაგზე 24 ყუმბარა ჩააგდო 90 მილიმეტრიანი და 16—155 მილიმეტრიანი. ჰაეროპლანებზე მყოფი ზარბაზნები მატარებელს დაუშინეს, მატარებელი იძულებული იყო ორი სადგურის შუა შეჩერებულიყო. აგრეთვე ერთი ,,ალბატროსიც'' ჩამოაგდეს.

**პარიზი.** 30 ივნისი. პრესის ბიურო აქვეყნებს შემდეგ ცნობას: 14 ივნისიდან გერმანელები სისტემატიურად უშენდნენ ზარბაზნებს არასის სხვადასხვა უბანს. 14 ივნ. დილის 8 საათიდან დღის 2 საათამდე, ხოლო 17 ივნ. 6—7 საათისას სღამოს 15, 21 და 42 სანტიმეტრიან ზარბაზნებიდან სასტიკი სროლა აუტეხეს ციტადელსა და ახლო მახლო ქუჩებს. 20 ივნ. ცეცხლის წამკიდებელ ყუმბარების სროლამ ფრიად დიდი ცეცხლი გააჩინა. 22 ივნისს მტერმა ზარბაზნების სროლა აუტეხა ტაძრის მიდამოს და დასწვა ეპისკოპოსის სასახლე სენვაასეში, რომელშიაც მუზეუმი იყო მოთავსებული, რომელიც ტაძრის დაცვას შეუძლოდ ხდიდა. ტაძრის სახურავი და ორგანო განადგურებულია. დეპარტამენტის არქივი და საეკლესიო ნივთები დროზე გამოვიტანეთ.

### ოსმალეთში.

**ბუქარესტი.** 30 ივნისი. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ოსმალეთის მთავრობამ მრავალ დაბრკოლების გამო თავი გაანება ეგვიპტეს და გადასწყვიტა არაბთა ჯარი სხვა რიგათ დააწყოს, ნაწილი გაგზავნოს კავკასიის ფრონტზე, დანარჩენი სტამბოლისა და შავი ზღვის მიდამოებში. ამ ჯარების მთავარ სარდალს ჯემალ-ფაშას მოელიან სტამბოლში. გუბერნატორებს ებრძანა მცირე აზიის მომავალი მოსავლის რეკვიზიცია მოახდინოს.

### შვეცია.

**სტოკჰოლმი.** 30 ივნისი. საღამოს დიდი მიტინგი გაიმართა ომის მოწინააღმდეგეებისა. მონაწილეობას 5 ათასი კაცი იღებდა. წარმოითქვა სიტყვები. სხვათა შორის, სიტყვა წარმოსთქვა სტოკჰოლმის ბურგომისტრმა. მიღებულ იქმნა რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია ბელგიის ბედი როგორც ერთნაირი გამაფრთხილებელი მაგალითი პატარა ნეიტრალ სახელმწიფოთათვის; რეზოლუცია აქტიურ ნეიტრალიტეტს გულუბრყვილო—აგრესიულს უწოდებს. შარმანდლადან მდგომარეობა სრულიად არ შეცვლილა, რომ სკანდინავიის ნეიტრალ სახელმწიფოთათვის საჭირო იყოს პოზიციის გამოცვლა. მუშებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ და აქტიურ სამშვიდობო პოლიტიკას გამარჯვებინონ. საპროტესტო მიტინგი დანიშნულია კიდევ 3 ივლისისათვის.

**სტოკჰოლმი.** 1 ივლისი. ბაირეიტიდან იტყობინებიან, რომ ტყვეს ფრანგს სტუდენტს ანრიას მიუსაჯერ ხუთი წლის ციხე იმისთვის, რომ მან, როდესაც ტყვეები სცლიდნენ თივით დატვირთულ ვაგონებს გერმანელი ჯარისათვის, აიღო ცოტა ზეთი და უნდოდა თავისი ფეხსაცმელები გაეზეთა. დარაჯები ამტკიცებდნენ სასამართლოში, რომ ანრიამ ვაგონების საზეთეში ქვიშა ჩააყარა, რათა ცეცხლი გაჩენილიყოვო.

ბერლინიდან იტყობინებიან, რომ ამოუყრელ კარტოფილის გაყიდვა აკრძალულია კრახმლისა და კარტოფილის ფქვილისათვისაო.

— გაიაში ახალი მოსავლისათვის ძალაში რჩება პურისა სხვა საკვები მასალის გატანის აღკრძალვა.

— ლიბავიდან გერმანულ გაზეთებს სწერენ და სჩივიან ლატიშელებზე. ისინი ეკლესიებში გერმანელებისაგან განთავისუფლებისათვის ლოცულობენ და რუსების საფლავებს ყვავილებით ისე რთავენ, რომ ბაღნარს მოგაგონებთო. ამავე გაზეთების ცნობით ებრაელები და გერმანელებიც გადიან ლიბავიდან. ასე რომ გერმანელები ვერა გრძნობენ ლიბავაში თავს კარგად. ქალაქის კასაში ფული არ აღმოჩნდა და გერმანელებმა ქაღალდის ფულები შემოიღეს, როგორც რუსეთის პოლონეთში. გერმანელები სძარცვავენ მცხოვრებთ და ფულის ნაცვლად რაღაც ქაღალდებით უსწორდებიან.

### სპარსეთი.

**ისპაჰანი.** 2 ივლისი. როგორც მოსულ ცნობებიდან სჩანს, ბელუჯებს გერმანელები დიდძალ ფულს აძლევენ ერთი კვირაა, რეიტერის სააგენტოს სამხედრო ბიულეტენები აღარა. გამოუცია.

### იაპონია.

**ტოკიო.** გარეშე საქმეთა მინისტრმა პროვინციაში მოგზაურობის დროს, როგორც ლიბერალების პარტიის ლიდერმა, წარმოთქმულ სიტყვებში აღნიშნა, იაპონია იმოქმედებს ინგლისთან შეკავშირებული და რუსეთთან შეთანხმებულიო.

### სხვა და სხვა დეპეშები.

**პეტროგრადი.** 1 ივლისი დღევანდელ სხდომაზე, საგანგებო გამომძიებელმა კომისიამ სენატორი კრივცოვის თავჯდომარეობით განიხილა ავსტრიელებისა და გერმანელების მხრით საომარ კანონებისა და ჩვეულებათა დარღვევის ასზე მეტი ახალი შემთხვევები, იმათ შორის—11 შემთხვევა სულის შემხუთველ გაზების გავრცელებისა, 21 შემთხვევა დუმ-დუმის ტყვიის ხმარებისა და 13—დაჭრილების დახოცვისა.

## დღევანდელი სეირნობა.

დღეს ქუთაისის დრამატიული საზოგადოება თავის ნივთიერ მდგომარეობის გასაძლიერებლათ საქალაქო ბაღში სეირნობას მართავს.

ყველა ის, ვისაც ქართული თეატრი უყვარს ამ სეირნობას თანაგრძნობით შეხვდება. ყველა მივა დღეს საქალაქო ბაღში და თავის წვლილს შეიტანს.

ეს უნდა ჩავიფიქროთ, რადგანაც ქუთაისის მომავალი სეზონის სიავკარგე იმაზეა დამოკიდებული რამდენი ექნება სახსარი დრამატიულ საზოგადოებას.

კარგი თამაშობა სცენაზედ კარგ მსახიობზეა დამოკიდებული. კარგ დასს აქვს მნიშვნელობა, კარგი დასი კი მუდამ დიდ ხარჯს თხოულობს.

ამას განახლებული გამგეობა დრამატიულ საზოგადოებისა კარგათ ხედავს და აქედანვე შეუდგა თავის სახსართა გაღონიერებას.

დრამატიულ საზოგადოების გაღონიერების ერთ საშუალებათ დღევანდელი სეირნობა უნდა ჩაითვალოს.

სეირნობის მომწყობთ ისე საინტერესოთ შეუდგენიათ სეირნობის პროგრამმა, რომ ხალხი სიამოვნებით წავა მის სანახავათ.

ჩვენ ამის სრული იმედი გვაქვს!..

## ვინ გაიმარჯვებს?

(დასასრული, იხ. „სამშ.“ № 118).

თუ დემოკრატიის გამოსვლა გერმანიაში ჯერ-ჯერობით უმნიშვნელოა, ხოლო „მოკავშირეებში“ სულ აღარ ჩანს იგი, მაშ დავანებოთ ჯერ თავი დემოკრატიის გამოსვლას და იმის გარეშე ავწონ-დავწონოთ მეომარ მხარეების ძალ-ღონე. ძალებია საჭირო, რომ სახელმწიფომ დღევანდელ საზარელ არ გაკონილ ომში გაიმარჯვოს?

აი რა:

1) მტკიცე შინაური, სახელმწიფებრივი უმწვერვალესათ განვითარებული ორგანიზაცია: ყველაფერი სახელმწიფო ინტერესს უნდა ემსახურებოდეს. ამ მხრით გერმანიის დევიზია: „გერმანია ყველაფერზე მაღლა“.

2) სამხედრო ტეხნიკის უპირატესობა და საომარ მასალის სიუხვე. ამაზე გერმანიის მოპირდაპირეები ახლა ამბობენ: „სამხედრო ტეხნიკა გერმანიის ტეხნიკაზე უფრო უნდა გავაუმჯობესოთ და საომარი მასალის უხვად დამზადებისათვის „მრეწველობის მობილიზაცია“ უნდა მოვახდინოთო, ერთი სიტყვით ამ საქმეში გერმანიას უნდა მივბაძოთ და ყველაფერი მისგან ვისწავლოთო.

3) ჯარის გაწრთვნა—მომზადება, მისი კულტურული დონეს სიმაღლე და ხასიათის სიმტკიცე, აგრეთვე რაოდენობა.

„მოკავშირეებს“ მხოლოდ ჯარის რაოდენობა შეუძლიათ დაიქადონ: ჩვენ ბევრი, ძალიან ბევრი გვყავსო, ამბობენ ისინი.

4) ჯარის „ზურგის ენერგიული გამაგრება: ომის დროს შინ შეთანხმებულად, დაუღალავათ მეომარ ჯარისთვის ყველაფერით ხელის შეწყობა: როგორც მამაკაცთაგან ისე ქალთაგანაც. ყველაფერი ეს იქ უკეთ არის მოწყობილი, სადაც სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია მტკიცეა და უფრო განვითარებულია.

სადაც ეს ოთხი პირობა უმთავრესათ მაინც დაცულია, იქ ომის დროს ლაშქარს არც ნიჭიერი სარდალი და არც ვაჟკაცობა-გამბედაობა არ დააკლდება.

ახლა ვიკითხოთ რა აკლია აქ დასახელებულ პირობიდან გერმანიას? —მხოლოდ ჯარის რაოდენობა.

60—70 მილიონიანმა სახელმწიფომ 8 მილიონი მეომრის გამოყვანა მაინც კიდევ შესძლო, მაშინ როდესაც მის მოწინააღმდეგებს, 300 მილიონამდე მცხოვრებთ, ხუთჯერ მეტი მაინც უნდა გამოეყვანათ.

მაგრამ, როგორც ვიცით, გარდა რუსეთისა გერმანიის ისინი ჯარის სიმრავლითაც ვერ მისწვდენ. ჯარის სიმრავლით მხოლოდ რუსეთი აჭარბებს მას და სიმრავლე რომ ბრძოლის ბედს სწყვეტდეს, რუსეთი დღემდე სრულიად გამარჯვებული იქნებოდა.

და განა ეს უბრალო ჭეშმარიტება სარაყამიშთან ოსმალების შემოსევამ და მათმა სასტიკათ დამარცხებამ არ დაამტკიცა?

აქ ოსმალეთის ჯარი შეუდარებლათ მეტი იყო რიცხვით რუსებზე, მაგრამ ერთმა თუ ორმა როტამ კავკასიის ჯარისამ „შავი დღე“ დააყენა საბრალო თათრებს; სჩანს რუსებს თათრებთან შედარებით მეტი მოხერხება, განვითარება-მომზადება ჰქონიათ და ამასთანავე რუსეთის ტეხნიკაც თათრებისაზე უკეთესი ყოფილა. ეს საქმეც არ არის, ამიტომაა, რომ რუსეთი ოსმალეთთან ბრძოლაში ყოველთვის იმარჯვებს.

მაგრამ სულ სხვაა გერმანიასთან ბრძოლა: აქ მას ჯარის სიმრავლეც არ შველის და იძულებულია ჯარის სიმრავლესთან ერთად სხვა პირობებიც გააუმჯობესოს.

გალიციის „ხელიდან წასვლამ“ რუსეთი საბოლოოდ დაარწმუნა ამაში და ამიტომ არის, რომ დღეს რუსეთის ნაფიცი პუბლიცისტები მხოლოთ ერთ ლოზუნგს გაიძახიან „ყველაფერი ომისთვისო“.

„უნდა გავიმარჯვოთ!“ ყვირის „ნოვოე ვრემია“-დან მენშიკოვი.

„გამარჯვება უნდა მოვაწყოთ“. დასძენს ლიბერალი კოკოშკინი.

„მობილიზაცია, მობილიზაცია, ყველაფრის მობილიზაცია!“

გაჰკივიან კადეტები და მათი ამყოლნი.

ასეთივე ჩოჩქოლი ატყდა საფრანგეთშიაც, როცა გერმანიის ლაშქარმა ბელგიის საზღვრები გადალახა და პარიზს დაემუქრა.

ასეთსავე ყოფაში ჩავარდა ინგლისიც, როცა გერმანიამ წყალქვეშა ნავებით ალყა შემოარტყა მას და „ზღვის მეფე“ დატყვევებულათ გამოაცხადა.

მართალია ძველმა ბატონმა, ინგლისმა ეს „აინუშიაც არ ჩააგდო,“ მაგრამ, როცა მან დარდანელის სიმაგრეების წინააღმდეგ მიმართულ იერიშში საშინელი ზარალი ნახა, როცა დაინახა, რომ მისი ჯარი საფრანგეთში გერმანიისას ვერ უმკლავდება, განსაკუთრებით საომარ მასალის, ყუმბარების ნაკლებობის გამო, მაშინ ისიც დარწმუნდა, რომ გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლამ მისი „ბატონობის საკითხი“ საბოლოვოთ უნდა გადასჭრას.

ამიტომ მანაც დაუყონებლივ განსაკუთრებული ზომები მიიღო: „კაბინეტი“ განაახლა, მუშათა წარმომადგენელი სახელმწიფო მართვა გამგეობაში მიიწვია და საზოგადოთ მუშებთან მორიგება—შეთანხმება კიდევ უფრო განამტკიცა. ახლა ინგლისიც სხვებთან ერთათ გაიძახის: „ყველაფერი ომისოვის“, მრეწველობის მობილიზაცია, რომ რაც შეიძლება მეტი საომარი მასალა—ყუმბარები დამზადდეს და ამ მხრით მაინც მტერს გაუთანასწორდეთო.

და აი, სანამ „მოკავშირეები“ ასეთ მზადება—ჩოჩქოლში არიან, მანამ გერმანიის უკვე დიდი ხნით ადრე კარგათ მომზადებულ—გაწრთვნილი ლაშქარი ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით

. . . . . . . . . . . .

გულში ან პარიზისაკენ გალაშქრებას შეეცდებიან და ამ დრომდის ,,მოკავშირეებიც“ და თვითონ რუსეთიც „მომზადებას“ მოასწრებენ,

. . . . . . . . . . . .

ვისაც ეს სჯერა, ვიმეორებთ მას ჩვენ მხოლოთ წინა წერილში ნაჩვენებ მოვლენაზე მიუთითებთ,— სახელდობრ—დემოკრატიის გამოსვლაზე და ვეტყვით: გერმანიის იმპერიალისტები ისეთი ბრიყვები როდი არიან, რომ ისეთი ძლიერი პარტიის გამოსვლა, როგორიც გერმანიის სოციალ-დემოკრატიაა, არ დააფასონ და მას ანგარიში არ გაუწიონ.

იმ დროისთვის, ვამბობთ ჩვენ, გერმანიის დემოკრატიის გამოსვლაც მზათ იქნება და მაშინ ომის გაგრძელებაც შეუძლებელი გახდება: მაშინ გერმანიის იმპერიალისტებიც იძულებული გახდებიან გერმანიის დემოკრატიასთან ერთათ „ზავი“ მოითხოვონ და როგორც გამარჯვებულებმა თავისი პირობები „სამშვიდობო კონფერენციის“ წინაშე წარმოადგინონ.

თუ ვინიცობაა საქმე ისე წავიდა, რომ დემოკრატიის გამოსვლა [illegible] დია ,,ომი ბოლომდის'' [illegible] რაც ვანდერველდეს ისე სწყურია, და ყველაფრით მომზადებული და მრავალ რიცხოვანი ლაშქარი ,,მოკავშირეების'' ბოლოს მაინც გაიმარჯვებს.

აქედან როგორც ხედავთ ომის მ ვლელობისათვის და გამარჯვებადამარცხებისათვის დემოკრატიის გამოსვლას თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

გამოვა ის დროზე,—გერმანია დარჩება გამარჯვებული, არ გამოვა და ბოლოს ,,მოკავშირეები'' გაიმარჯვებენ.

. . . . . . . . . . . .

დ—ელი.

## პრესის თავისუფლება.

ილიუსტრაცია ჩვენის ზნეობისა მრავალ საინტერესო სურათს იძლევა. ჩვენ ვსცხოვრობთ შურის ძიების ქვეყანაში, სადაც დევიზმა: „თვალი თვალისა წილ და კბილი-კბილისა წილ“, ყველაფერს გადაამეტა. სამართლიანობა და ჯენტლემენობა წყალსა და ნიავს გაჰყვნენ და ჩვენს უფერულ ცხოვრებაში ხეპრეობა გამეფდა, რომელიც არაფერს არ ინდობს, არაფერს ანგარიშს არ უწევს, ყველაფერს თავის სურვილისამებრ აკეთებს. კერძო გადაბმულია, საზოგადოსთანდა ისინი, ვინც საზოგადოებისგან არიან აღურვილნი ძალითა და უფლებით იმის მეტს არაფერს არ აკეთებენ, რომ შეურაცყონ ეს საზოგადოება.

ის, რაც ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში მოხდა ამ დღეებში საუკეთესო დამახასიათებელია ჩვენი საზოგადო ზნეობისა. ფაქტი კერძო პირს, ერთ ადამიანს შეეხება, მაგრამ იგი სავსებით გამომდინარეობს იმ დამოკიდებულებიდან საზოგადოების კერძო პირისადმი და კერძო პირისა საზოგადოებისადმი, რომელიც მეფობს ჩვენში. ამ გიმნაზიაში ქართულ ენას სხვა მასწავლებელთა შორის ასწავლიდა იაკობ ცინცაძეც. იაკობ ცინცაძე ცნობილი ქართველი ბელეტრისტია, საზოგადოება მას იცნობს და ცხადია შეუძლებელია იმის მიჩქმალვა, რაც მას სამართლიანათ, ან უსამართლოთ თავს გადახდება. ამიტომ ყოველი ის, ვინც მოისურვებს მივიდეს ბელეტრისტთან და სილა გაულაწუნოს, უწინარეს ყოვლისა ერთს რამეს უნდა ჩაუფიქრდეს: რას იტყვის ამაზედ საზოგადოება? ჩვენი კულტურის და სულიერ არსობის წარმომადგენელნი ჩვენი გერები ხომ არ არიან, რომ საზოგადოებამ გულგრილათ უცქიროს მათს გალანძღვას. აი, ამას არ ჩაუფიქრდნენ ერთის წუთითაც ისინი, ვინც განაგებენ ქართულ გიმნაზიას და ადამიანს, რომელიც ოცდა ხუთი წელიწადი ემსახურება ქართულ კულტურას-შეურაცხყოფა მიაყენეს. როგორც მიღებულია ბიუროკრატებს დაწესებულებაში ეგრედ წოდებულ „მესამე პუნქტის ძალით“, მიზეზთა განუმარტებლათ მასწავლებლობიდან დაითხოვეს.

მაგრამ წყალსაც წაუღია ეს „მესამე პუნქტი“, მიზეზთა განუმარტებლობა და ბ. ცინცაძის მასწავლებლობიდგან დათხოვნა. ჩვენ ისეთი აღზრდა მივიღეთ, ისეთ უფლებრივ პირობებში ვსცხოვრობთ რომ ასეთი რამ შესაძლებელია უბრალო გაუგებრობითაც მოხდეს. იქ, სადაც ბო-

დიშის მოხდა და თავის მონანიება-მოკატუნება საუკეთესო საშუალებაა ახალი მეგობრების შესაძენლათ, რას ნიშნავს შეცდომით ვისმეს სილა გაარტყათ! ბოდიშს მოიხდიდით და შერიგდებით! მაგრამ ქართულ გიმნაზიაში მომხდარ ამბავში ჩამარხულია საშინელი ბოროტება, წესს გადასული ცინიზმი და უსირცხვილო ალვირ ახსნილობა, რომელიც თურმე მეფობს ჩვენში და ჩვენი მიზანია სწორეთ ეს გამოვაშკარავოთ.

ბ. ცინცაძის ინციდენტში მთლათ ქართული პრესაა ჩართული და მე გამოვდივარ არა როგორც ბ. ცინცაძის დამცველი, არამედ, როგორც ქართველი ჟურნალისტი, ვალდებული დავიცვა ეს პრესა ყოველნაირ ძალ-მომრეობისაგან. და ჩემი სურვილია, რომ ყოველმა ქართველმა ჟურნალისტმა სწორედ ასე გაიგოს, ასე განმარტოს ეს ინციდენტი. და არა მარტო ქართველმა ჟურნალისტმა, უფრო მეტად სასურველია, რომ ქართველ ჟურნალისტების და ქართულ პრესის დამცველათ გამოვიდეს თვით ქართველი მკითხველი საზოგადოება, ის მკითხველი საზოგადოება, რომელიც პატივს სცემს ქართულ პრესას.

ბ. ი. ცინცაძე რედაქტორია გაზ. „სამშობლოსი" და მას როგორც გაზეთის წარმომადგენელს ქაღალდზედ ფასების აწევის თაობაზედ უთანხმოება მოუვიდა ძმათა ოცხელების მაღაზიასთან. რადგანაც ძმათა ოცხელების მაღაზიამ ხელშეკრულ ფასებში არ დაუთმო გაზეთს ქაღალდი და გაზეთი იძულებული იყო მდარე ქაღალდზე გადასულიყო—ხელის მომწერლებისთვის უნდა აგვეხსნა, რა იყო მთავარი მიზეზი ამისა. და რედაქციამაც საჭირო განმარტება წაუმძღვარა იმ ნომერს, გაზეთისას, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო მდარე ქაღალდზედ იყო დაბეჭდილი. რედაქციამ ასეთი რამ უბრალო ჯიბრით არ ჩაიდინა: რედაქცია გაზეთზე ხელის მომწერს ფასს ახდევინებს. რედაქციასა და ხელის მომწერს შორის ერთგვარი ხელშეკრულობა იგულისხმება და როცა რომელიმე მხარე არღვევს ამ პირობას, იგი ვალდებულია მისი საპატიო მიზეზიც წამოაყენოს წინ. როდესაც ჩვეულებრივ ქაღალდის მაგივრათ მკითხველს ფერადი ქაღალდი მიაწოდა რედაქციამ, მან ვალდებულათ ჩასთვალა მიზეზიც აეხსნა. მით უმეტეს რომ ეს მიზეზი საზოგადო მნიშვნელობას არ იყო მოკლებული. ამით კი ცოტა არ იყოს ძმათა ოცხელების სავაჭროს სახელი გაუტყდა. მართლაც, რატომ არ უნდა დავგმოთ ჩარჩობა და უზნეო ექსპლოატაცია: და ბ. ცინცაძემაც საჯაროთ დაჰგმო ასეთი საქციელი.

საქმე ამით უნდა გათავებულიყო. დიახ უნდა გათავებულიყო, რადგანაც გაზეთის რედაქცია და წიგნის სავაჭრო მეტად განსხვავებული ოდნობანი არიან, რომ ამ ნიადაგზედ კერძო პირის სავაჭრო დაწესებულებას შეეძლოს რედაქციასთან ბრძოლა. მაგრამ საკითხი მაღაზიის დახლიდან გიმნაზიის დირექტორის კაბინეტში გადავიდა და რედაქტორი და მაღაზიის პატრონი ამ კაბინეტში დირექტორი და მასწავლებელი გამოდგნენ. მაღაზიის პატრონი ბ. ი. ოცხელი იმავ დროს გიმნაზიის დირექტორია და ყოვლად ძლიერმა დირექტორმა დაითხოვა გიმნაზიიდან რედაქტორი—მასწავლებელი ცინცაძე.

ეს ფაქტია, რომელსაც ქართული პრესის ცხოვრებაში ჯერ პრეცენდენტი არ ჰქონია. რა უნდა ვიფიქროთ ჩვენ გაზეთის მომუშავეებმა, შეგვიძლიან ჩვენ ამის შემდეგ დამოუკიდებელი და უანგარო მოღვაწეობა, თუ ზურგი უნდა მოვიზნიქოთ და გავწვეთ დახლიდრებისა და მიკიტნების წინაშე, რომლებსაც ყოველ მიზეზის გარეშე შეიძლება ძმები დირექტორებათ ჰყავდნენ სადმე.

მე ვფიქრობ, რომ ასეთი საქციელი დირექტორისა სილის გარტყმაა მთელი ქართული პრესისა და თუ დავა გაზეთის რედაქციასა და ქაღალდის მაღაზიის შორის რედაქციის ასეთი დამარცხებით დამთავრდა, არ დავმალავთ—ამით ჩვენ ძალიან დარცხვენილები დავრჩებით—მაგრამ ეს ჩვენი სირცხვილი არ იქნება. ეს იქნება სირცხვილი იმ საზოგადოებრივ ავზნეობისა და კაპრალობისა, რომელიც მეფობს ჩვენში. და უპირველესად ეს იქნება სირცხვილი იმ დაწესებულებისა—ქართულ გიმნაზიისა, სადაც მედუქნეებს უფლება ჰქონიათ მაღაზიის ანგარიშები დირექტორის კაბინეტში ასწორონ.

მე არ ვიცი, რას ფიქრობდა ბ. ოცხელი, როდესაც ხელს აწერდა ბ. ცინცაძის დათხოვნის შესახებ ქაღალდს. მე კი, ვაწერ რა ხელს ამ წერილს, ჩემთავად ვფიქრობ: შეიძლება კაცი დირექტორი იყოს, შეიძლება ძალიან შურის მაძიებელი დირექტორიც იყოს კაცი, მაგრამ კეთილ-გონიერება მაინც საჭიროა ბ. ცინცაძის დათხოვნა გიმნაზიიდან, იმ დროს, როცა მათ შორის აშკარა უთანხმოება იყო სხვა ნიადაგზედ—დიდი უგუნურებაა. და არა მგონია, რომ ამ უგუნურებას მომხრე ამოუჩნდეს ვინმე.

**შ. ამირეჯიბი.**

# ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

✦ გუშინ, 4 ივლისს, დილის მატარებლით ბათომს გაემგზავრა ქუთაისის გუბერნატორი ბ-ნი პოტულოვი.

✦ 3 ივლისს აჭარიდან დაბრუნდა მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ა. ჩხენკელი.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ბ მა პოტულოვმა ქალაქის თვითმართველობაში განცხადება შეიტანა, რომ დაწესდეს ნიხრი სიმინდზე და სიმინდის ფქვილზე, როგორც უმთავრეს საკვებზე.

✦ დეპ. ა. ჩხენკელი პეტროგრადს სათათბიროში მონაწილეობის მისაღებათ ამ დღეებში წავა. ბ-ნი ჩხენკელი დეპუტატ კ. ჩხეიძეს გუშინ 4 ივლისს დეპეშით შეეკითხა, აცნობოს, როდისაა უკანასკნელი ვადა მისი წასვლისა, რომ სათათბიროს მიწვევის პირველ დღეს დაესწროს.

✦ მოვაგონებთ მკითხველ საზოგადოებას, დღეს ქალაქის ბაღში დრამატიული საზოგადოება, თავის საშუალების გასაძლიერებლათ მართავს დიდ საჯარო სეირნობას. იმედია ქუთაისის საზოგადოება სეირნობას არ დააკლდება.

✦ ზალიკო ჩიხლაძემ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადასცა სოფ. ამაშუკეთში „კოზმადამიანეს" მთაზე ციხის ნანგრევებში ნახული ნივთები: 1) ეკლესიის ოთხკუთხიანი სამკაული, რომელზედაც გამოყვანილია უძველესი დროის ცხოველები და 2) ციხის დიდი კლიტე თავისი მოწყობილობით.

✦ რაჭა-ლეჩხუმისაკენ დელიჟანების მიმოსვლა გაიხსნა მხოლოთ ალპანემდის.

ჯარში გაწვეულთა დამხმარე ქალაქის კომიტეტი დახმარებას ჯარში გაწვეულთა ოჯახებს და დაჭრილებს უკვე აძლევს. კომიტეტი ყოველ თვიურათ დახმარებას აძლევს 114 ოჯახს 2 მან. 10 შაურიდან 5 მანეთამდე. კომიტეტს ჰყავს აგრეთვე 21 პენსიონერი დაჭრილი ჯარის კაცი, რომელთაც ეძლევათ თვეში ხუთ-ხუთი მანეთი.

✦ დღეს, ქალაქის თეატრში, დღის 12 საათზე, სამსონ ფირცხალავა (სიტყვა) წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „სამაჰმადიანო საქართველო, ანუ ძველი მესხეთი".

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა იჯარით გასცეს სალორიის აგარაკზე ტყე 15 დესეტინა, მომავალი წლისათვის შეშის დასამზადებლათ.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „განთიადის"-ს მორიგი, ივლისის მე 11 ნუმერი. ჟურნალი კარგათ არის გამოცემული და შეიცავს საყურადღებო წერილებს. უქაღალდობის გამო ჟურნალი ამის შემდეგ თვეში ერთხელ გამოვა.

✦ ორშაბათს, 6 ივლისს, ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილება გაარჩევს ვარლამ ბაქრაძის, ალექსანდრე თუთბერიძის, მაკარი გუტაძის და იოსებ ჭუმბაძის საქმეს.

✦ გუშინ, 4 ივლისს, დღის 12 საათზე, თეთრ ხიდთან მდ. რიონში ცხენით ჩავიდა ომში ახლად დაჭრილი ჯარის კაცი არსენ ჰანტურაია. ჰანტურაია ცხენმა გადააგდო და წყალში გადავარდა, იგი საჩქაროთ ამოიყვანეს და რელიგიონის სამკურნალოში დახმარება აღმოუჩინეს, მაგრამ ვერა უშველეს რა ჰანტურაიას ომში ვაჟკაცობისათვის მიღებული ჰქონდა რამდენიმე მედალი.

✦ ქუთაისის ბაზარზე ამ ჟამათ სოფლებიდან სანოვაგე სულ არ შემოდის, რის გამოც ქალაქის მცხოვრებლები მეტად შეწუხებულნი არიან.

✦ ვაჭარმა ნ. ჯანელიძემ მიიღო დიდძალი შაქარი და შაქრის ფხვნილი და ჰყიდის შეღავათიან ფასებში.

✦ სიმინდის ფქვილით მოვაჭრეები მეტად უწესოობას იჩენენ. ისინი ჰყიდულობენ ფუთ სიმინდის 1 მ. და 10 კაპ. ფქვავენ. და თერთმეტ აბაზათ ჰყიდიან. ამ რიგათ ფქვილს ორ ფასში ჰყიდიან. ამის შესახებ ბაზრის მეთვალყურეე პლატონ კორძაია ქალაქის გამგეობას მოელაპარაკა, რომ ზომები იქნეს მიღებული მათ ასალაგმავათ.

## მოწერილი ამბავი.

სოფელ **შროშაში**, 21 ივნისს, გაიხსნა უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო, ჩვენი ერის სიამაყე, აკაკის სახელობაზე. კურთხევაზე ქუთაისიდან ჩამოვიდა ია ეკალაძე, ლადო ბზვანელი, ნემო და სხანი.

იმავე საღამოს სამკითხველოს სასარგებლოთ გამართულ წარმოდგენისთვის მოვიდენ მსახიობები ნემო, ვ. ტყეშელაშვილი და სცენის მოყვარეები: თამარა ქაჯაია, ოლია შარაბიძე, ჯანიკო ჩიხლაძე, გალინა ქოჩიაშვილი, ქეთო მარგველაშვილი და შალიკო ბეჟუაშვილი.

სამკითხველოს კურთხევაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ია ეკალაძემ და საზოგადოებას გააცნო საქართველოს ისტორია და დღევანდელი ლიტერატურული მიმდინარეობა.

ლადო ბზვანელმა მიულოცა საზოგადოებას ეს კულტურული დღესასწაული.

რაისა ჩიხლაძემაც მიულოცა თავის მეზობლებს ეს ბედნიერი დღე და გრძნობიარე სიტყვით გამოხატა ძლიერი სიყვარული ხალხისადმი. ვარლამ ჩიხლაძემ ლექსით მიმართა სამკითხველოს და ერმალოზ ებანოიძემ მადლობა გადაუხადა შროშელებს ასეთი საქმის მოწესრიგებისათვის. იმ დღესვე მივიღეთ მისალოცი დეპეშები სერგო ლამბაშიძისა და გრიშა გველესიანისაგან. საღამოს დაიდგა დივერტისმენტი და წარმოდგენილ იქნა ვოდევილი „უბედური" დღე ნემოსა და ვ. ტყეშელაშვილის მონაწილეობით, რომელთა მოხდენილათ როლების შესრულებამ დიდათ ასიამოვნა დამსწრე საზოგადოებას. დარისპანის გასაჭირი უამინდობის გამო არ შედგა.

შორაპნიდან მოწვეული იყო დეპოს მუსიკა, რამაც საზოგადოება დიდათ ასიამოვნა. სიტყვების შემდეგ გრამაფონის ფირფიტაზე დაუკრეს იმდღისთვის საგანგებოთ მოტანილი ალექსანდრე თაბაგრის მიერ, აკაკის ლექსები.

შროშის საზოგადოება და სამკითხველოს მზრუნველი კომიტეტი უღრმეს მადლობას უძღვნის ამ სოფლის კულტურულ ზეიმში მონაწილეთ.

მათი მონდობილობით:

**ზალიკო ჩიხლაძე.**

**„სამშობლოს" კანტორა**

მოვაგონებთ ჩვენს წლიურ ხელის მომწერთ, რომ

ვისაც შემდეგი ნახევარი წლის ხვედრი ფული (4 მ.) გადახდილი არ ექნება 10 ივლისამდი,

**გაზეთის გზავნა მოესპობათ.**

## ქ. შ. წ. კ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება.

(იხ. „სამშ." № 120.)

**გაგრძელება.**

ორშაბათს, 29 ივნისს, კრება გაიხსნა საღამოს 8 საათზე ი. ფანცხავას თავმჯდომარეობით. პირველად ილაპარაკეს აკაკის სახსოვრად ქუთაისის ქალაქის ბაღში ძეგლის დადგმის შესახებ.

რ. კანდელაკი. ქალთა კრებაზე ალძრეს ამას წინათ საკითხი ძეგლის დადგმის შესახებ ქალაქის ბაღში; კარგი იქნება თუ მივიღებთ მონაწილეობას და დავდგამთ ისეთ ბიუსტს, როგორც აქვთ თბილისში პუშკინს, ან ქუთ-ში თოფურიას; რადგან ყველას არა აქვს საშუალება თბილისში ჩავიდეს და იქ ნახოს ძეგლი, ამიტომ გამგეობამ დაავალა ქალთა წრეს და შეაგროვონ ფული; აკაკის დასაფლავება ბევრს ქუთაისში უნდოდა, რადგან არ მოხერხდა მაგივრად ძეგლი დაიდგას, რომელიც არც იმდენი ძვირი დაჯდება.

ი. ბაქრაძე. ამის შესახებ გამგეობამ იქონია მსჯელობა და დაადგინა უსახსრობისა გამო, ჯერ დაუდგათ იქ, სადაც საჭიროა, ე. ი. თბილისში და შემდეგ, როდესაც საშუალება იქნება, სხვაგანაც შეგვიძლია დავდგათ.

ს. კრინიცკი. თუ გამგეობის აზრი წინად მიიღო კრებამ, რაღა საჭიროა დღეს კიდევ ამაზე ლაპარაკი.

პ. წულუკიძე. ჯერ-ჯერობით ზედმეტად მიმაჩნია ამაზე ლაპარაკი, ომის შემდეგ ვიქონიოთ მსჯელობა ამ საკითხის შესახებ.

თავმჯდომარე. დღეს-დღეობით ეს კითხვა დახურულად უნდა ჩავთვალოთ, რადგანაც გლახა დროა, როდესაც დაწყნარდება დრო, გამგეობამ შეიმუშავოს აზრი და წარმოუდგინოს კრებას შემდეგში.

დილიკაურის მამულის შესახებ თავმჯდომარემ გააცნო კრებას წინანდელი კრების დადგენილება.

ი. ბაქრაძე. ეს მამული დღესდღეობით გაცემულია იჯარით, შემდეგისათვის გადავდოთ მსჯელობა, თუ როგორ მოვახერხებთ ამის მოვლას.

ა. კრინიცკი. ტყე შეიძლება ორი თვის განმავლობაში მოჰპარონ და გააფუჭონ, ამიტომ ვახერხოთ, რომ იქვე დავაარსოთ კომიტეტი და მივანდოთ მოვლა.

თავმჯდომარე. წინა კრებაზე გამგეობამ დაადგინა მამული არ გაყიდოს; როგორ ახერხებს მოვლას, ამის ზომებს შეიმუშავებს.

ი. ოცხელი. მოახსენებს კრებას, აჭარა-ქობულეთში რა მიზეზით არ მოხერხდა ქართული სკოლის დაარსება; იგი ლაპარაკობს: თუმცა ქობულეთი შორს არის და არ შედის ჩვენს რაიონში, მაგრამ გამგეობამ მაინც განიზრახა იქ ქართული პირველ დაწყებითი სკოლის გახსნა; ამაზე სთხოვა დირექტორს ნებართვა, მაგრამ დირექტორმა გვიპასუხა, რომ ქობულეთში არსებობს სამინისტრო სკოლები და მეტი სკოლის გახსნა არ არის საჭიროვო. შემდეგ ომი დაიწყო და გამგეობამაც შეაჩერა ეს საკითხი; ომის შემდეგ შეგვიძლია აჭარის რომელიმე სოფელში ვითხოვოთ სკოლის დაარსების ნებართვა.

კრებამ მიიღო ასეთი წინადადება.

შემდეგ დაიწყო კამათი საწევრო ფულის შემცირების შესახებ.

**ლადო ბზვანელი.**

(შემდეგი იქნება).

# რედაქციისაგან.

დღეს ჩვენ გაზეთში იბეჭდება წერილი „ჩვენის გაზეთის ხელის მომწერლებისადმი."

ამ მოწოდების დაბეჭდვა გვაიძულა იმ გარემოებამ, რომ ფულის ნდობა შვილის ნდობაზე უფრო მნელი ყოფილა. ისეთი დრო გახლავთ, ისე ვართ მომართულნი, რომ ბანქოში, ან სხვა რამეში ათასობით დავხარჯავთ, მაგრამ თუ მშრომელ კაცს ხელის მონაცვლება დასჭირდა ჩვენგან, უეჭველად მოვსთხოვთ ისეთ გარანტიას, რომელიც მას არა აქვს და მაშასადამე—შეგვიძლია უარიც უთხრათ ფულის სესხებაზე. ამას მოითხოვს თანამედროვე კაპიტალისტური ურთიერთობა, თანამედროვე ანგარიში, თვისება ფულის ტრიალისა.

უღრმესათ ვმადლობთ იმათ, ვინც დღევანდლამდე გვიმართავს ხელს, ვინც გვენდობა და ამ ნდობის მეოხებით ჯერ არაფერი გაგვჭირვებია რა, მაგრამ ყოველთვის შეწუხება ერთი და იმავე კაცისა, (რომელსაც ჯერ არ ვასახელებთ და რომელსაც უღრმესს მადლობას ვეტყვით, როცა ვალს დავუბრუნებთ) დიახ, შეწუხება ერთი და იმავე კაცისა მოუხერხებელიც არის და შეუძლებელიც, ამიტომ ვსთხოვთ ჩვენ ხელის მომწერლებს, რაც შეიძლება მალე გამოგზავნონ წლის მეორე ნახევრის ხელის მოწერის ფული, რომ პირნათლად გამოვიდეთ ჩვენ მკითხველებთანაც და რედაქციის დროებით დამხმარეებთანაც.

## სამგლოვიარო წერილი.

სამძიმარი ბ. გ. ყაზბეგს.

ბატონო გიორგი! როცა ხელში ვიღებ კალამს რომ მოგისამძიმროთ უკანასკნელი, კიდევ გასაოცარი უბედურება—მესამე საყვარელი შვილის დაკარგვისა, ნაღველი მახრჩობს, წინ მიდგია უბედური მამა. . მაგრამ ვიმედოვნებ: გმირი მეომარი, კავკასიის სალკლდეთა შორის აღზრდილი, ამაყი ისტორიული გვარი ყაზბეგის ღირსეული წარმომადგენელი კიდევ შეიკრებთ ძალას ამ უმწარესი ხვედრის გადასატანად. გამხნევდი, დაივიწყე ყოველივე შენი ერისთვის, შენი სიცოცხლე მისთვის კიდევ დიდად საჭიროა.

ლეჩხუმის მაზრის მარშალი
თ-დი **იასონ გელოვანი.**

# დღევანდელი ლექცია

(ქუთაისის საზოგადოებას)

მსოფლიო ქარტეხილმა ერთხელ კიდევ გაამართლა ქართული ბრძნული თქმულება: „ზოგი ჭირი-მარგებელია-“ო. ჩვენს თვალებს წინ წარმოიშვა საკითხი სერიოზული, საკითხი, რომელიც დღესვე საბოლოოთ გადაწყვეტას მოითხოვს „ჩალტეხილი ხიდი“ გამრთელებას საჭიროებს და ჩვენ გვავალებს დაუყონებლივსა და ენერგიულ შრომას მის შესასრულებლად. მკითხველი მიხვდება, რომ მე ისტორიული ბედის წყალობით დაშორებულს მოძმე-აჭარლებზე მოგახსენებთ. უწყალოთ დედის ძუძუს მოგლეჯილმა ისტორიულად სახელოვანმა მესხეთმა თითქმის დაკარგული სახისა და პიროვნების აღდგენა მოიწადინა. ჩვენს წარსულ ცოდვებზე ამ საქმის მოწესრიგებაში ლაპარაკს თავი დავანებოთ და გავაკეთოთ ის, რაც დღეს ჩვენ ხელთ არის.

პირველად ყოვლისა, სხვას ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენი უდიდესი დანაშაული და შეცოდება ის არის მშობელ ქვეყანას, რომ ძალიან ნაკლებად ვიცნობთ და კერძოთ კი სახელოვანი მესხეთის არაფერი გაგვეგება—რა თქმა უნდა ცოტაოდენის გამონაკლისით.

სამშობლოს სიყვარულზე ყველანი გავიძახით და ოცნებით ვეტრფით მას, მაგრამ რეალურ ნაყოფსა და განსახიერებას ვერა ვხედავთ.

მაგალითისათვის შორს ნუ წავალთ. ამას წინათ პატივცემულმა ლექტორმა ბ. ალექსანდრე გარსევანიშვილმა სახალხო უნივერსიტეტში ქუთაისის შესახებ ლექცია წაიკითხა წარმოიდგინეთ, რომ ბ. ლექტორმა ისეთი ცნობები მოგვაწოდა, რომელიც არა თუ ფართო მასისათვის, დარწმუნებული ვარ, რომ ბევრად უფრო განათლებული პირებისათვისაც ახალი ხილი იყო. მიუხედავათ იმისა, რომ ლექცია ფრიად საინტერესო გამოდგა ყოველ მხრივ, საზოგადოება მაინც ძლიერ ცოტა დაესწრო.

ახლა საყვედურებს თავი დავანებოთ. გვეყო მგონი. ღმერთმა ქნას ასეთი საყვედური უკანასკნელი ყოფილიყოს. ამ მოკლე წერილში მინდა გავახსენო ქუთათურებს, რომ მათ საშუალება ეძლევათ ნათლად და სავსებით გაიგონ ჩვენგან მოწყვეტილი ძმებისა აჭარლების ყოფა-ცხოვრება—მათი აწმყო და წარსული, მათი ბედი და უბედობა.

დღეს, 5 ივლისს დილის 12 საათზე ცნობილი პუბლიცისტი ბ. სამსონ ფირცხალავა (იტყვა) წაიკითხავს ზემონათქვამ შინაარსის ლექციას. ამ ლექციაში დაწვრილებით ცნობებს მივიღებთ ყველაფრის შესახებ. აღმოსავლეთ საქართველოში რამდენიმე ადგილას უკვე წაკითხულია. დასასრულ ქუთაისის საზოგადოებას მინდა გავახსენო დიდებულ მგოსნის აკაკის დასაფლავების დღეს აჭარელთა წარმომადგენელის გ. ალი-კაიკაციშვილის სიტყვიდან ერთი ადგილი: ძვირფასო ბატონო აკაკი? დაუბარე ამათ, შენს ქართველებს, რომ მოგვაქციონ ყურადღება, ჩვენც მათი ძმები ვართ, დაუბარე რომ ერთი თვალი ჩვენსკენ ქონდეთ და ერთ ხელში სანთელი ჩვენსკენ ეპყრათ“- მე მგონი ამ სიტყვებს განმარტება არ ესაჭიროება.

ბეგი.

# სიმშილობა გურიაში.

გაზეთებში ბევრი რამეები ითქვა დამშეულ გურულების შესახებ, რასაკვირველია, დამშეული მაზრები სხვებიც არიან, მაგრამ ბევრი იმან გააოცა: როგორ მოხდა ეს, რომ ასეთი დამშეული და ნაკლებ მოსავლიანი მაზრა „მაძღრათ“ იქნა ცნობილი და მას საიმპერიო დახმარებაზე უარი უთხრეს!

მართლაც, გასაოცარი რამ არის! გასულ წელს, როცა გლეხები სიმინდის ნაკლებობას ისე არ გრძნობდენ, როგორც წელს, მთავრობამ მათ კარგი დახმარება აღმოუჩინა, როგორც ადგილობრივი, ისე საიმპერიო თანხიდან, ასე რომ თითოეულმა დამშეულმა ოჯახმა მიიღო არა ნაკლებ 70—50 ფუთი სიმინდისა და ზოგმა მეტიც, სულადობის მიხედვით. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ შარშანდელ წელის ხალხის უმცირესი ნაწილი განიცდიდა სიმშილს.

ასეთი გულკეთილობა გამოიჩინა მთავრობამ გურულების მიმართ გასულ წელს. ეს მაშინ, როცა სიმშილით ნაკლები პროცენტი იტანჯებოდა, როცა ომის ჩრდილიც არ იყო ქვეყანად და ხალხს კიდევ შეეძლო სადმე სამუშაოთ გასვლა, როცა ახალგაზრდა მუშებით სოფლები სავსე იყო და კიდევ შეიძლება წარმოიდგინოთ, რომ სიმშილობა ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენდა...

საშინელი მსოფლიო ომი, რამაც გამოიწვია საერთო სამრეწველო კრიზისი, წარმოუდგენელი სიძვირე პირველ მოთხოვნილების საგნების, ახალგაზრდა მუშების ბრძოლის ველზე გაწვევა, სოფლების მიტოვება მოხუცებულ-უძლურთა ამარათ,—აი რა ახასიათებს დღევანდელ ხალხის გაჭირვებას. მიუხედავათ ასეთი საერთო უბედურებისა, წელს სულ უარი უთხრეს გურულებს, „სხვა საშუალება გაქვთ“-ო. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ 79,358 მანეთს, რაც მთავრობას გადაუდვია გურიისთვის „მაღაზიის ფულები“-დან, რაც ზღვაში წვეთია...

მხოლოდ 4—5 მანეთით უნდა გამოკვებოს საცოდავმა გლეხმა ბედის ამარათ დაყრილი ცოლ-შვილი ამ ხანგრძლივ სიმშილობის დროს! როცა დეპ. ჩხენკელის თანხლებით გურიის წარმომადგენლები წარუდგენ ბ. ქუთაისის გუბერნატორს, მან დახმარება აღუთქვა წარმომადგენლებს და სტატსკი სოვეტნიკის გაგზავნა შეპირდა გურიის მდგომარეობის გამოსარკვევათ. ხალხის სიხარულს საზღვარი არ ქონდა: „ჩინოვნიკი მოვა და ჩვენც ისეთ დახმარებას მოგვცემენ როგორც სხვებს“-ო—ასე ლაპარაკობდენ გურიის სოფლებში. გუბერნატორის მოხელეც ეწვია გურიას, მაგრამ მისმა გამორკვევამ ვერაფერი ნაყოფი ვერ გამოიღო, რადგანაც დაკმაყოფილდა სამაზრო სასამართლოს ჩვენებით.

რასაკვირველია, ხალხის გაჭირვება თვით ხალხის ცხოვრების შუა გულში გაიგებოდა და არა ზერელე გახედვით.

ამით დასრულდა ჯერ-ჯერობით გურულების სიხარული...

ვის ებრალება დაბალი ხალხი!..

**მქვს. წიფნარელი.**

# † მიშა ქუთათელაძე.

მიშა ივანეს ძე ქუთათელაძე, რომელიც გარდაიცვალა 2 ივლისს, ერთი საუკეთესო და გულწრფელი მოღვაწეთაგანი იყო ხონში. ყოველ კულტურულ საქმეში თავისი წვლილი შეჰქონდა და დიდი ერთგული იყო დაკისრებულ საქმისა. რასაც კი დაავალებდენ განსვენებულს და რაც უნდა ძნელი ყოფილიყო ეს დანაკისრი, ის მაინც პირნათლად ასრულებდა მას. საზოგადო საქმეებში ის დიდ მონაწილეობას ღებულობდა და არ გვინახავს კაცი მისი საზოგადო მოღვაწეობაში უკმაყოფილო. განურჩევლად რწმენისა და მიმართულებისა, ყველა პატივს სცემდა განსვენებულს და ყველა აფასებდა მას როგორც უანგაროსა და თავდადებულ მოღვაწეს.

განსვენებული მსახურებდა ხონის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებასა და შემნახველ—გამსესხებელ ამხანაგობაში. პირველ საზოგადოებაში ის გამგეობის წევრი იყო და ასრულებდა დირექტორის თანამდებობას, ხოლო მეორე საზოგადოების კი თავმჯდომარე იყო.

ხონის საზოგადოებამ დაკარგა მისი გარდაცვალებით ერთი დაუღალავი და საზოგადო საქმეების მუშაკი. არ უყვარდა ყვირილი, არ იცოდა ბაქი-ბუქი, იყო წყნარი, და მშვიდი მოღვაწე. იშვიათია ასეთი ჩუმი და უწყინარი მოღვაწე.

სპეტაკი სულის პატრონი იყო მიშა ქუთათელაძე, მისი მოსიყვარულის და სათნო გულის გამო ყველა აფასებდა მას და ესაა მიზეზი, რომ იშვიათი გლოვა და მწუხარება გამოიწვია ხონის საზოგადოებაში. ყველა ერთხმათ გოდებას და მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო რომ ამგვარი სასარგებლო და მეტიც საჭირო მუშაკი დაკარგა ხონმა. მის პანაშვიდებს, რომელიც დღეში ორჯერ იმართება აურაცხელი საზოგადოება ესწრება.

დღეს იმ უმწიკვლო პიროვნების გვამს საუკუნოთ მიაბარებენ შავ მიწას. მას ერთხელ კიდევ გაატარებენ ამ დაწესებულებების წინ, სადაც სიკვდილის დღემდის ერთგულ და მუყაით მუშაობას ეწეოდა. დაუნდობელმა სიკვდილმა არ დააცალა დაენახა თავისი მოღვაწეობის ნაყოფი. ის საქმეები, რასაც ის ემსახურებოდა აყვავების გზაზეა დამდგარი და როდესაც ხედავდა ამ საქმეების ასე კარგათ მსვლელობას, გულს უხარებდა მას. შენატროდა და შეხაროდა ამ საქმეებს და მისი და მისი ამხანაგების წყალობით მომავალში კიდევ მეტს სიხარულსა და კმაყოფილებას მოგვრიდა ეს საქმეები.

ძმაო მიშა! დაუვიწყარი იქნება შენი ხსოვნა ხონის საზოგადოებაში. შენ შენი ნაყოფიერი მოღვაწეობით უკვდავ ყავ ხონელებში შენი სახელი. არ დაივიწყებენ შენს ამაგს და სასარგებლო ნამოღვაწევებს. ყოველთვის მოგიგონებთ შენ, როდესაც საზოგადო საქმე მოგვთხოვს გულწრფელობასა და შეუდრეკელ ერთგულობას საზოგადო საქმისას.

გ. მე—კე.

# ჩვენი გაზეთის ხელისმომწერლებისადმი.

გაზეთის გავრცელება დამოკიდებულია თანაგრძნობაზე, თანამგრძნობები კი დღითი-დღე გვემატება და ეს სრულს იმედს გვაძლევს, რომ ჩვენი გაზეთი ჩვენის მიზეზით არასოდეს არ დაიხურება.

ამ ჟამად გვყავს ათას-ოთხასი თვიური და წლიური ხელის მომწერი და გადის დღეში 1800—2000 ნუმერი.

ასეთი შემოსავალი ყოველთვის დაჰფარავს ხარჯს და წლის ბოლოს დეფიციტი არ გვექნება, მაგრამ აქ არის ერთი გარემოება, რომელიც ჩვენმა მკითხველმა უეჭველად უნდა იცოდეს.

ალებ—მიცემობის ყოველივე დარგში არის ისეთი მომენტი, ისეთი თვეები, როცა ხარჯი აღემატება ხოლმე შემოსავალს და ეს ზედმეტი ხარჯები იფარება, ასე ვსთქვათ, სათადარიგო თანხიდან, ან მწარმოებელის კერძო ჯიბიდან.

გაზეთისათვის და, ნამეტნავად ქართული გაზეთისათვის, ყველაზე გასაჭირი თვეები არის ზაფხულის თვეები. ხალხი აგარაკად მიდის, მოწაფეები დათხოვნილნი არიან, და ხელზე გაყიდულ გაზეთის რიცხვის რაოდენობა ძალზე მცირდება, მაშასადამე ყოველ დღიურათ **იმდენი აღარ შემოდის, რამდენიც არის ყოველ-დღიური აუცილებელი ხარჯები,** ვერავითარი ეკონომია, ვერავითარი ფიქრი და ზრუნვა აქ ვეღარას გიშველის.

ასო-ამწყობნი თვეობით ვერ მოგცდიან, მუდმივ თანამშრომლებს (თუმცა ძლიერ მცირე სასყიდელს იღებენ) მარტო ჰაერით ვერ აცხოვრებთ. ქაღალდი აუცილებელია, ფოსტისა და დეპეშის გამოწერა უსაჭიროესი, ბინა უფრო ზედმეტი, და ყველა ეს დიდის ხელმომჭირნეობითაც რომ მოიქცეთ, თხოულობს თვიურ ხარჯს არა ნაკლებ 1200—1300 მანეთისა.

ასეთი შემოსავალი ზაფხულის თვეებში შეუძლებელია. (ამიტომ ყოველ-თვე ზაფხულობით 200—300 მანეთის დამატება საჭიროა, რომელიც ანაზღაურდება შემდეგ).

რადგანაც ხშირათ ფლავი იმასა აქვს ხოლმე, ვისაც **მადა** არა აქვს, ე. ი. რადგანაც ჩვენი ჟურნალისტები უფრო ოცნებით სულდგმულობენ, ვიდრე ფულით, ასეთ გასაჭირის დროს მიმართავენ ხოლმე ერთ-გვარ ჯაჭვს, რომელსაც **გამომცემელთა კოლეგია** ჰქვიან.

ჩვენზე წინათ არსებულ გაზეთებს „იმერეთსა“ და „ახალ ივერიას“ ჰყავდა თავისი გამომცემელი კოლეგია. ნაწილი ამ კოლეგიისა გადმოჰყვა ჩვენ გაზეთსაც. (ჩვენი გაზეთი დაარსდა პირველ თებერვლიდან 1915 წ.)

პირველ ხანებში ამ კოლეგიის ზოგიერთა წევრები დაგვეხმარენ 400—500 მანეთით, რაც ორი თვის განმავლობაში გადავიხადეთ.

შემდეგ კი კოლეგია ნელ-ნელა ჩამოგვშორდა და ოთხი თვის განმავლობაში ჩვენ გაზეთს აღარავისი დახმარება არა სჭირვებია.

დადგა ზაფხულის თვეები, დადგა კრიზისიც და როცა მოვსთხოვეთ დახმარება ყოფილ კოლეგიას იმ უტყუარის დაპირებით რომ გროში არ დაეკარგებოდათ და ხარჯს უკანვე დაიბრუნებდენ, კოლეგია, სხვაფრივ უკმაყოფილო (ზოგიერთ რამეში იდეურათ ვერ შევთანხმდით) სრულებით ჩამოგვშორდა და გაჭირვებაში მიგვატოვა.

ორასი და სამასი მანეთის ერთბაშათ შოვნა ჩვენისთანა კაცისათვის ძალიან ძნელია და ეს გარემოება რომ მოსვენებას არ გვაძლევს. მეშინია გაზეთი არ შემიფერხდეს. ამიტომ უმორჩილესათ და უმდაბლესად ვთხოვ [illegible] ხელის მომწერლებს [illegible] ხელის ფული დაუყოვნებლივ გამოგზავნონ, თუ სურთ რომ ჩვენმა გაზეთმა იცოცხლოს და ემსახუროს ქართველი ხალხის ჭირ-ვარამის შემსუბუქებას.

დღევანდლამდე მარტო ხელისმომწერლებისაგან **შემოსავალია** 3500 მანეთი და ჩვენ კი ორას-სამასი მანეთის ერთდროულად შოვნისათვის ათასი დამცირება უნდა გამოვიაროთ ხოლმე.

ამ გვარად, გაზეთის სიცოცხლე თქვენზე არის დამოკიდებული, ბატონო ხელის მომწერლებო, და ერთხელ კიდევ გთხოვთ **დაჩქარებით ფულის გამოგზავნას.**

გაზეთი მტკიცე ნიადაგზე დგას და დანაშაული იქნება, რომ დაიხუროს!—

გაზეთს რომ დასახური არა სჭირს-რა, თუ ხელის მომწერლები თავის დროზე მოგვაწოდებენ ხვედრს გადასახადს, მობრძანდით და გადაათვალიერეთ ვისაც გსურთ რედაქციის დავთრები. **რედ.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო.

გთხოვთ თქვენს გაზეთში მოათავსოთ ეს წერილი და მით საშუალება მომცეთ გამოვითხოვო სამედიატორო სასამართლოში ბ-ნ ვარდენ და ვარლამ ჟორჟოლიძეები.

ჩვენ გვაქვს იჯარით აღებული 120 ათასი მანეთის საქმე, რომლისთვისაც საჭირო იყო გირაობითი ფურცლის წარდგენა და მივიღებდით ავანსათ იმდენ ათას მანეთს, რამდენისაც მოწმობა იქნებოდა. ამ საქმის გამო ჩვენ ვიზარალეთ არა ნაკლებ 5000 მანეთისა.

ამისთვის ვიწვევთ მათ გამოგვყვეს სამედიატორო სასამართლოში, საქმის გამოსარკვევათ. ვაძლევთ ვადას დღეიდან ერთ კვირას. მედიატორებს მაშინ დავასახელებთ, როცა თანხმობას მივიღებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით სასამართლოს მივმართოთ.

**ნიკიფორე ბოლქვაძე, თომა ფირცხალაშვილი, ნესტორ წერეთელი, ვარლამ პაპუაშვილი.**

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე**

დაიბეჭდა და იყიდება **ქ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში)

**„НОВОЕ СЛОВО“**

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვის და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. **ფასი ყდით 2 აბაზი.**

# თ. მთავრიშვილის და ამხ.

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა**

**„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“ ц. 20 к.** კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო **„გაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“**, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

# ა ბ ა ნ ო.

ს. ზეკარში, ბაღდათიდან 22 ვერსის მანძილზე 16 ივნისიდან იწყებს წარმოებას გოგირდის თბილი წყლიანი აბანო, მშვენივრად მოწყობილი ვანებითა და ოთახებით. აბანო მდებარეობს დიდებულათ შემკობილს ბუნებით ადგილზე, მშვენიერის ტყის პირში დიდ გზაზე. 10 ივნისიდან ბაღდათიდან ივლის 3 ცხენიანი, რიზინის თვლებიანი ეტლი, ნაშუადღევის ორი საათიდან ყოველ დღეს. აბანოს ახლავს ახლო სოფელი და დუქანიც, სადაც იშოვება ყოველივე სანოვაგე. წყალი საშაგალითოდ მოქმედებს ავათმყოფებზე. უმეტესად ურმით მოყვანილი ავათმყოფი, რამოდენიმე ბანაობის შემდეგ, ბრუნდება უკან ჯანსაღი, ფეხით. აბანო კურნავს ნერვების სისუსტეს, რევმატიზმს, ვენერიულ ავათმყოფობას, ჰაჭების ტკივილს, ტანის ქავილს და სხვას.

**აბანოს მოიჯარადრე ად. დვალაძე.** თ.



სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. კოხრეიძისა—ქუთაისში